ПРОЛЕТАРЕБО ᲔᲒᲔᲚᲐ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 42-Ე ᲬᲚᲘᲡ № 124 (12332) | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ ᲛᲔᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲬᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ, ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲝ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲛᲘᲘᲭᲕᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ ᲛᲔᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ, ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲦᲝᲜᲔᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲝᲜ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘᲡ ᲓᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲘ და დამსახურებული პატივისცემით სარგებლობენ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების მუშაკები. ისინი მუშებთან და კოლმეურნეებთან, ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან, მთელ ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, იმორჩილებენ და გარდაქმნიან ბუნებას, იპყრობენ უსაზღვრო კოსმოსურ სივრცეებს, ქმნიან ახალ შესანიშნავ მანქანებსა და მასალებს. ახლა ჩვენს ქვეყანაში 400 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი შრომობს, მათ შორის დაახლოებით 114 ათასი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორია.

ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚ ᲒᲔ�გᲛᲔᲑᲡ, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXII ყრილობაზე,—ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲒᲔᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲠᲘᲗᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘᲗᲐᲜᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲝᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲚᲤᲠᲐᲤᲣᲚᲐᲓ, ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ ᲛᲘᲪᲔᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲚᲔᲑᲡ. ᲓᲐᲒᲘᲙᲐᲕᲗᲝᲗ ᲞᲝᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲬᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲠᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ, ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲦᲝᲜᲔᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ შეასრულონ ისტორიული ამოცანები, რაც სკკპ პროგრამით დასახულია სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების დარგში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲘ და დამსახურებული პატივისცემით სარგებლობენ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების მუშაკები. ისინი მუშებთან და კოლმეურნეებთან, ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან, მთელ ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, იმორჩილებენ და გარდაქმნიან ბუნებას, იპყრობენ უსაზღვრო კოსმოსურ სივრცეებს, ქმნიან ახალ შესანიშნავ მანქანებსა და მასალებს. ახლა ჩვენს ქვეყანაში 400 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი შრომობს, მათ შორის დაახლოებით 114 ათასი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორია.

ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚ ᲒᲔ�გᲛᲔᲑᲡ, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXII ყრილობაზე,—ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲒᲔᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲠᲘᲗᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘᲗᲐᲜᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲝᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲚᲤᲠᲐᲤᲣᲚᲐᲓ, ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ ᲛᲘᲪᲔᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲚᲔᲑᲡ. ᲓᲐᲒᲘᲙᲐᲕᲗᲝᲗ ᲞᲝᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲬᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ, ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲝ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

პარტიული ცხოვრება

ავლაბმოთ უღირსებბი, კომბინატორები

ამ დღეებში გაიმართა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის 8 მაისის ბიუროს დადგენილება „აჭარის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. თხილაიშვილი.

სკკპ XX და XXII ყრილობების შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული მუშაობა გასწია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხელმძღვანელი კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. ახლა ისინი უფრო ღრმად სწვდებიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკას, მასებში პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას.

სწორედ ამ გზით აჭარის რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

მაგრამ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში, — თქვა მომხსენებელმა, — ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რის შესახებაც სამართლიანად მიგვითითა საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

რაში გამოიხატება ეს ნაკლოვანებები? არ არის აღმოფხვრილი კადრების ნაჩქარევად შერჩევისა და ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურების ფაქტები. ზოგჯერ დაწინაურებულ პირთა კვალიფიკაცია, განათლება და საქმიანი თვისებები არ შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ პოსტებს. არის ხელმძღვანელი კადრების ერთი სამუშაოდან მეორეზე გაუმართლებლად გადაყვანის შემთხვევები. მათ შორის გვხვდებიან ისეთი პირები, რომლებმაც ერთგან ნაშალეს მუშაობა, გაიტეხეს სახელი და არ იმსახურებენ ნდობას.

მაგალითად, რ. ხ. გოგიტიძე, სპეციალობით პედაგოგი, 1952 წელს ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარედ ყოფნის დროს გაირიცხა პარტიის რიგებიდან ცუდი მუშაობისა და გამფლანგველთა მფარველობისათვის. 1954 წლის მაისში პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა გაუქმა თავისი წინანდელი გადაწყვეტილება და აღადგინა რ. გოგიტიძე პარტიის რიგებში. იგი შემდეგ დაუმსახურებლად დაინიშნა ხუცუბნის შემფუთავი ქარხნის დირექტორად. 1960 წელს ციტრუსების მიღება-გადამუშავებისა და გაგზავნის საქმეში დაშვებული დარღვევებისათვის საოლქო კომიტეტმა ის კვლავ გაათავისუფლა სამუშაოდან. არ გასულა ბევრი დრო, და პარტიის საოლქო კომიტეტმა რ. გოგიტიძეს რეკომენდაცია მისცა ქობულეთის საკურორტო სამმართველოს დირექტორად. შემდეგ იგი პარტიის ქობულეთის რაიკომის წევრობის კანდიდატადაც კი აირჩიეს (!).

ეი კიდევ ერთი შეუწყნარებელი ფაქტი: ვ. დუმბაძეს ჯერ კიდევ 1942 წელს ქურდობისათვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 1957 წელს იგი ინიშნება ჯერ უფროს გამომძიებლად ქობულეთის რაიმილიციაში, შემდეგ კი — მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ოპერუფლმუნდებულად. მიუხედავად იმისა, რომ ვ. დუმბაძე არ იმსახურებს ნდობას, შემჩნეულია კანონის უხეშ დარღვევაში, იგი განაგრძობს აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობას.

ლაპარაკობდა რა ამ ფაქტზე, მომხსენებელმა თქვა, რომ ქობულეთის რაიონის პროკურორმა შ. აღლაძემ არაერთხელ მოითხოვა ვ. დუმბაძის განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან. მოხდა კი პირიქით — გაათავისუფლეს არა დუმბაძე, არამედ აღლაძე...

ასევე სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე არასწორად დაწინაურეს ჯ. ჭყონია, რ. დეკანაძე, გ. იარალაშვილი, ა. ფალავა, ვ. დიასამიძე და სხვ.

ვინმე შ. ყულჯიშვილი 1946-1960 წლებში მუშაობდა ქ. კიევში ერთ-ერთ მაღაზიაში ჯერ გამყიდველად, ხოლო შემდეგ — გამგედ. იყო ნასამართლები. 1960 წელს საცხოვრებლად გადმოდის ქობულეთში. აქ მას შემფუთავი ქარხნის დირექტორად ნიშნავენ. ერთი წლის შემდეგ მოიხსნა სამუშაოდან ქარხნის კუთვნილი რელსების წყობებისა და თანამშრომლებისაგან გამოძალვისათვის. ერთი წლის განმავლობაში შ. ყულჯიშვილმა აიშენა სახლი 289 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით. მიუხედავად ამისა, პარტიის რაიკომმა იგი ქობულეთში ყველაზე დიდი რესტორანის დირექტორად დანიშნა, სადაც ეს „საქმოსანი“ დღესაც მშვიდად გრძნობს თავს.

სოფლის მეურნეობაში კადრებთან მუშაობის, მათი აღზრდისა და სწორად განაწილების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე იელაპარაკა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პარტორგმა შუახევის კოლმეურნეობების ტერიტორიულ საწარმორ სამმართველოში ა. ბოლქვაძემ. მან აღნიშნა, რომ სამმართველოში შემავალი 113 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან სპეციალური უმაღლესი განათლებით არის მხოლოდ ოთხი. არც ერთი სპეციალისტი არ მუშაობს უშუალოდ ფერმებსა და ბრიგადებში. ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ რაიონების მიხედვით არ სწარმოებს კადრების განაწილება. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები განსაკუთრებით ცოტაა მთიან — ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში.

სახელგატეხილი კადრებით განსაკუთრებით დანაგვიანებულია აჭარის ასსრ გაკრობისა და აჭარკოოპკავშირის სავაჭრო ობიექტები. ამიტომ ზოგჯერ სავაჭრო დაწესებულებაში უხეშად ირღვევა სახელმწიფო საცალო ფასები. იმის გამო, რომ აჭარკოოპკავშირის ხელმძღვანელები არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს უპატიოსნო ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად, საცალო ფასების გადიდების, ფართო მოხმარების საქონლის გადამალვის და მომხმარებელთა წონა-ზომაში მოტყუების ხშირ შემთხვევებთან ერთად ადგილი აქვს კოოპერატივის აბრით კერძო საქმოსნების „მოღვაწეობას“.

ვაჭრობის სისტემაში მატერიალურ-საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობენ ისეთი პირები, რომლებიც არა ერთხელ ყოფილან პასუხისგებაში მიცემულნი გაფლანგვა-მტაცებლობისა და სხვა დარღვევებისათვის. მარტო აჭარკოოპკავშირის სისტემაში 23 ასეთი კაცია თბილად მოკალათებული, ხოლო აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში კიდევ უფრო მეტი — 45.

ბათუმის კოოპვაჭრობის № 8 მაღაზიის გამგე ე. დიასამიძე სამჯერ არის ნასამართლები. 1942 წელს ქურდობისათვის მას მისჯილი ჰქონდა 2 წლით პატიმრობა, 1945 წელს ძარცვისათვის — 7 წელი, ხოლო 1952 წელს მტაცებლობისათვის — 10 წლით პატიმრობა. ნუთუ ყოველივე ეს შეუმჩნეველი უნდა დარჩენილიყო ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის.

კადრების აღზრდისა და დაწინაურების საქმეში მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, კადრების პოლიტიკური და საქმიანი თვისებებით აღზრდის საკითხებზე ილაპარაკეს პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. კოპლატაძემ, პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანმა ლ. ხვიჩიამ, აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრმა გ. მესხიძემ, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა კ. აბითალაძემ, ხულოს რაკომის პირველმა მდივანმა მ. ხოზრევანიძემ, კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. კოძახიძემ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ, ბათუმის რაიონის ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ვერძაძემ და სხვებმა.

პლენუმმა განხილული საკითხის გამო მიიღო დადგენილება.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა.

რ. გოგრგაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



ტყიბულის ქვანახშირიდან სამი სიხის პროდუქტი მიიღება: საკოქსე კონცენტრატი, ენერგეტიკული სათბობი და ფუში ქანი. ერთმანეთისაგან მათი განცალკევება ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში ხდება. საკოქსე კონცენტრატი და ენერგეტიკული ქვანახშირი ვეება ბუნკერებში გადადის. ფუში ქანები კი დამლექი აგრეგატისაკენ იღებენ კურსს.

ლაბორატორიულმა ანალიზებმა ცხადყო, რომ, მიუხედავად ასეთი რთული ტექნოლოგიური პროცესებისა, ფუჭ ქანში კვლავ რჩება ენერგეტიკული სათბობის ნაწილაკები. მათი გამოცალკევება სახელმწიფოს დიდძალ „შავ ოქროს“ დაუზოგავდა.

ამ დიდმნიშვნელოვანი საქმით დაინტერესდნენ ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი ინჟინრის მოადგილე ვ. ფურშტეინი და ტექნიკური კონტროლის განყოფილების ოსტატი მ. ფორჩხიძე.

კარგი ჩანაფიქრის ეფექტური შედეგი

დღეს გავაკეთოთ მეტი — იმას ნიშნავს, რომ ბევრ ბევრი გვქონდეს! ამ ნიშნით შრომობენ საქართველოს მეცხოველეები. მათ კარგად იციან, რომ სამშობლოს სულ უფრო მეტი რძე და რძის პროდუქტები სჭირდება. კარგი მაჩვენებლები აქვთ შრომაში საჩხერის რაიონის საცდელ-საარეკენელო. საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მწველავებს ციცინო პრეგვაძეს და ლეონ ალბანაძეს. მათ ვალდებულება აიღეს თვითეულ ძროხაზე მოწველონ 2.500 ლიტრი რძე. ისინი ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით ანაღდებენ.

გაგრის მერძეველობა-მეგბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში საუკეთესო მწველავის სახელი მოიპოვა სერაფიმა შირობოკოვამ. იგი 21 ძროხას აწველის. მან მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 1.128 ლიტრი რძე მაღალ თვითეულ ძროხაზე.

სურათებზე: საჩხერელი მწველავები ტ. ერგეშაძე და ე. [illegible] (ზემოთ), გაგრელი მწველავი ს. შირობოკოვა (ქვემოთ).

ფოტო **გ. გერსამიასი** და **ი. ჯოხონელიძისა.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა პროკურატურის 40 წელი

საზეიმო სხდომები

მოსკოვი, 28 მაისი. (საკდესი). საბჭოთა პროკურატურას 40 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით დღეს გაიმართა პროკურატურის მუშაკთა საზეიმო კრება საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საზეიმო სხდომაზე მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. შელეპინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ნ. რ. მირონოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ე. სემიჩასტნიმ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. თ. გორკინმა, გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა პ. ა. სატიუკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა, მეცნიერებმა და იურისტებმა.

მჭეხარე ტაშით შეხვდნენ კრების მონაწილენი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას საბჭოთა პროკურატურის მუშაკებისადმი, რომელიც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. შელეპინმა.

მოხსენება „საბჭოთა პროკურატურის 40 წელი“ გააკეთა სსრ კავშირის გენერალურატურმა პროკურორმა რ. ა. რუდენკომ.

შეერებილებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი წერილის ტექსტი.

თბილისი. საბჭოთა პროკურატურის მეორმოცე წლისთავს მიეძღვნა საქართველოს სსრ პროკურატურისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურატურის მუშაკთა საზეიმო სხდომა, რომელიც 28 მაისს გაიმართა.

მოხსენება საბჭოთა პროკურატურის მეორმოცე წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა.

სიტყვა ეძლევა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორს იუსტიციის პოლკოვნიკს ბ. ცალაგოვს. მან ილაპარაკა ოლქის სამხედრო პროკურატურის საქმიანობის შესახებ, დასაბერა საუკეთესო მუშაკები.

პროკურატურის მუშაკებს მიესალმა სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ლორთქიფანიძე.

ქვეყნდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურების მისასალმებელი დეპეშები.

დასასრულ წაიკითხეს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, რესპუბლიკის პროკურორის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის ბრძანებანი, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებანი საუკეთესო მუშაკთა ს

საერთაშორისო
დეკენელი ცნობები, ემიგოსიერება
ცხოვრება

ᲛᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲜᲓᲘᲠᲔᲡᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 26 მაისი. (საკდესი). ზეიმით, სიხარულით შეხვდა დღეს კუნძულ ჰოკაიდოს მთავარი ქალაქის საპოროს მოსახლეობა საბჭოთა კოსმონავტს იური გაგარინს, რომელიც მშვიდობისა და მეგობრობის ვიზიტად ჩამოვიდა აქ. გმირის შესახვედრად გამოვიდა ქალაქის თითქმის მთელი — 600 ათასი მოსახლეობა.

ხვალ იური გაგარინი თვითმფრინავით ბრუნდება ტოკიოში.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 27 მაისი. (საკდესი). მსოფლიოში პირველი საბჭოთა მფრინავი კოსმონავტი, რომელიც დღეს ტოკიოში დაბრუნდა იაპონიის ქალაქებში მოგზაურობის შემდეგ, ნაშუადღევს შეხვდა იაპონიის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს. ი. ა. გაგარინთან ამ შეხვედრაში, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთ დარბაზში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის, ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირისა და იაპონიის ახალგაზრდობის მრავალ სხვა ორგანიზაციის სამი ათასამდე აქტივისტმა. მრავალი მათგანი ჩამოვიდა შორეული ქალაქებიდან და სოფლებიდან, სადაც საბჭოთა კოსმონავტის ჩასვლა არ არის გათვალისწინებული იაპონიაში მისი ყოფნის პროგრამით. იაპონიის ახალგაზრდობამ გამოხატა აღტაცების გრძნობა საბჭოთა ხალხის დიადი მიღწევების გამო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მშვიდობისა და მთელი კაცობრიობის აყვავების საკეთილდღეოდ.

დღეს საღამოს ი. ა. გაგარინი და მისი მეუღლე ეწვივნენ საბჭოთა კავშირის საელჩოს იაპონიაში, შეხვდნენ სოციალისტური ქვეყნების საელჩოების დიპლომატიურ მუშაკებსა და თანამშრომლებს, რომლებიც აკრედიტებული არიან იაპონიაში.

ᲓᲘᲐᲓᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲑᲣᲔᲜᲡᲐᲘᲠᲔᲡᲘ, 27 მაისი. (საკდესი). დიად მეგობრობას უწოდებენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები რუმინელი ხალხისა და კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ძმურ, ურღვევ მეგობრობას, წერს დღეს გაზეთი „სანტეია“, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მომავალი ვიზიტის ამბავი ყველამ დიდი სიხარულის გრძნობით მიიღო. მუშებს, ინჟინრებს, კოლექტიურ მეურნეობათა წევრებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს ეს მოვლენა მიაჩნიათ ახალ და დიდმნიშვნელოვან წვლილად მეგობრობის შემდგომ განვითარებაში, რაც სოციალიზმსა და მშვიდობას ემსახურება.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ჩვენი ხალხის მახლობელი და საიმედო მეგობარია, კომუნიზმის გამარჯვებისა და მშვიდობის საქმისათვის ნაყადი მებრძოლია, წერს თავის წერილში კლუჟის ქარხნის მუშა ვასილე ლეგრანი გაზეთ „სანტეიაში“. ყოველ ჩვენგანს სურს, რომ ძვირფასი სტუმრები ჩამოვიდნენ ჩვენს ქალაქში— ქლუჟში. ჩვენ ვიჩვენებთ მათ თუ რა ავაშენეთ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით ამ წლებში. ჩამოდით ჩვენთან, ძვირფასო სტუმრებო!

სახალხოთ შეეხვდებით სტუმრებს, ძვირფასო მეგობრებო და საბჭოთა ამხანაგებო, ხაზგასმულია სოციალისტური შრომის გმირის, სოფელ სილტანის მილოონერი კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარის გეორგე გოინას წერილში. ჩვენ ვამაყობთ და ბედნიერი ვართ იმით, რომ ჩვენს შორის მოპოვებულ წარმატებებში აღგვაფრთოვანებდა საბჭოთა კოლმეურნეობების მაგალითი.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ ᲒᲐᲜᲠᲘᲡᲮᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 27 მაისი. (საკდესი). ესპანეთის დიქტატორმა გენერალმა ფრანკომ პირველად ახსენა საჯაროდ გაფიცვები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს ესპანეთში, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. „სამოქალაქო რმის მონაწილე ყოფილ ოფიცერთა“ კრებაზე გარაბიტასში მადრიდის მახლობლად მან წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც უსაყვედურა მუშებს, რომ ხელფასის მომატებას მოითხოვენ.

იგი აგრეთვე ბრალს სდებდა მუშებს, რომ მოექცნენ „აგიტატორთა“ გავლენის ქვეშ. ფრანკომ, რომელსაც არ სურს აღიაროს ესპანეთში სოციალური მღელვარების ნამდვილი მიზეზები, რაც გამოწვეულია მშრომელი მასების ძმიმე ეკონომიური მდგომარეობით, ყველაფერი დაბრალა „კომუნიზმს, რომელიც „შეთქმულებას აწყობს“ მისი რეჟიმის წინააღმდეგ.

ᲐᲜᲑᲝᲚᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 27 მაისი. (საკდესი). „ანგოლის ხალხთა კავშირის“ ლიდერმა ჰოლდენ რობერტომ განაცხადა ლეოპოლდვილში, რომ ანგოლელი ხალხის აჯანყებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში პორტუგალიელი კოლონიზატორები ეყრნენ ამერიკული და ინგლისური წარმოების ნაპალმის ბომბებს.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ლეოპოლდვილიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პორტუგალიის კოლონიებში მდგომარეობის გამომკვლევი სპეციალური კომიტეტის სხდომაზე გამოსულმა რობერტომ აღნიშნა, რომ შეეძლოთ წარადგინოს ნაპალმის ბომბის ნიმუშები, „რომელიც აშკარად მოწმობს, რომ ასეთი ბომბები ანგოლაში გაგზავნეს შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა“.

ᲛᲔᲒᲑᲠᲝᲚ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ᲫᲐᲚᲗᲐ საერთაშორისო დემოკრატიული ფედარაციის გენერალურმა მდივანმა ჟარმენ ძანტემ წერილი გაუგზავნა ესპანელ ქალებს, რომლებიც საგაფიცვო ბრძოლაში მონაწილეობენ. წერილში ხაზგასმულია, რომ ამ ბრძოლას ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, დემოკრატიული თავისუფლებებისა და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის მხარს უჭერენ და იწონებენ მთელი მსოფლიოს ქალები. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია არ დაიშურებს ძალღონეს, რათა დარაზმოს მრავალი მილიონი ქალი თქვენთან აქტიური სოლიდარობისათვის, წერს კ. ძანტი.

მშრომელთა მასობრივი მიტინგები იმართება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლის მხარდასაჭერად. მიღებულ რეზოლუციებში საწარმოთა კოლექტივები მოითხოვენ შეწყდეს რეპრესიები ესპანელ მებრძოლთა წინააღმდეგ, სრულ სოლიდარობას უცხადებენ მათს სამართლიან საქმეს.

მონღოლი ხალხი სოლიდარობას უცხადებს და მხარს უჭერს მებრძოლ ესპანეთს, წერს მონღამეს საგენტოს კომენტატორი. ამ დღეებში ესპანეთის მშრომელებმა, მასობრივი საგაფიცვო მოძრაობა რომ გააჩაღეს, ცხადყვეს თავიანთი მისწრაფება ბრძოლისადმი ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. მებრძოლი ესპანეთის მხარეზეა, ხაზგასმით აღნიშნავს კომენტატორი, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და მშრომელთა სიმპათიები და მხარდაჭერა. მონღოლი ხალხი აღტაცებით ადევნებს თვალყურს ესპანეთის მშრომელთა გმირულ საგაფიცვო მოძრაობას და უსურვებს მათ შემდგომ გამარჯვებებს ფრანკოს ფაშისტური დიქტატურის ძალებზე, ესპანეთის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლაში.

გერმანიის კომუნისტური პარტიის, ცენტრალურმა კომიტეტმა რადიოსადგურ „დოიჩერ ფრაიჰაიტოზენდერ — 904-ის“ მეშვეობით მიმართა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ყველა დემოკრატიულ ფენას და მოუწოდა მორალური და მატერიალური მხარდაჭერა გაუწიონ ესპანეთის მშრომელებს. გერმანიის კომუნისტური პარტია, კერძოდ, მოუწოდებს დასავლეთგერმანელ მაღაროელებსა და ნავსადგურის მუშებს ხელი შეუშალონ ქვანახშირის მიწოდებას ფრანკისტული ესპანეთისათვის. მიმართვაში აღნიშნულია, რომ ფრანკო ძალაუფლებას ინარჩუნებს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა და მონოპოლიათა მხარდაჭერით.

სოლიდარობა ესპანეთის გაფიცულ მშრომელებთან, ხაზგასმულია გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასის ღირსების საქმეა.

კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტის სამრეწველო რაიონის პროფკავშირებმა გაუგზავნეს ესპანელ ხალხს წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ესპანელი ხალხი თავისი ბრძოლით სახავს იმ დიქტატურისაგან განთავისუფლების ნათელ პერსპექტივას, რომელსაც 25 წელწადია იცავდნენ იმპერიალიზმი და მისი მილიტარისტული პოლიტიკა. ესპანეთი ს მშრომელთა გაფიცვებისადმი სოლიდარობის ნიშნად ბოგოტაში გაიმართა მშრომელთა და სტუდენტთა გაფიცვები.

პროფკავშირთა 300 ხელმძღვანელმა, რომლებიც ვენესუელის მშრომელთა კონფედერაციის შემობაში შეიკრიბნენ, ერთსულოვნად გადაწყვიტეს „ყოველი საშუალებით მხარი დაუჭირონ ესპანეთის მშრომელებისა და ხალხის გმირულ ბრძოლას სისხლიანი ფრანკისტული დიქტატორის წინააღმდეგ.

26 მაისი (საკდესი).

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲤᲠᲗᲮᲝᲜᲔᲑᲡ

☐ **ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ**, 26 მაისი. (საკდესი). ადგილობრივი რეაქციული წრეები განაგრძობენ პროვოკაციულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენის წინააღმდეგ რიო-დე-ჟანეიროში. ისინი ცდილობენ დაშინონ დამთვალიერებელნი და ჩაფუშონ გამოფენის მუშაობა. გუშინ ღამის ორ საათზე უცნობმა პირმა, რომელმაც განაცხადა — საბჭოთა კავშირის მეგობარი ვარო, ტელეფონით აცნობა სსრ კავშირის მუდმივ სავაჭრო დელეგაციას ბრაზილიაში, რომ თითქოს გამოფენის ტერიტორიაზე ჩადებულია ახალი ბომბი, რომელიც უნდა აფეთქდეს დილის 10 საათზე. გამოფენის დირექციამ შეატყობინა ეს პოლიციას, რომელმაც დილამდე აწარმოვა გულმოდგინე ჩხრეკა გამოფენაზე, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა.

გუშინ დილით სამი მოცურავე ნაღმი აღმოჩნდა საბჭოთა კატარღის მახლობლად, რომელსაც უჩვენებენ საქმიან წრეებს ლაგუას ტბაზე რიო-დე-ჟანეიროში. ნაღმები დაიჭირეს და გააუვნებლეს. რეაქციის პროვოკაციულ გამოხდომებს საყოველთაოდ გმობენ ბრაზილიის ოფიციალური წრეები და საზოგადოებრიობა.

☐ **ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ**, 27 მაისი. (საკდესი). ვენესუელის პარლამენტის დეპუტატთა პალატამ ხმის უმრავლესობით უარყო მთავრობის მიერ წარდგენილი პროექტი დეკრეტისა ვენესუელის კომუნისტური პარტიისა და პარტია „მემარცხენეთა რევოლუციური მოძრაობის“ საქმიანობის აკრძალვის შესახებ.

☐ **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ**, 27 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სასამართლოს განკარგულების წინააღმდეგ, გუშინ სან-ფრანცისკოდან წავიდა პატარა იახტი „ევრიმენნი“, რომელიც შობის კუნძულის რაიონში მიდის. ატომური იარაღის გამოცდის საწინააღმდეგო მოძრაობის სამმა მონაწილემ, რომლებიც შეადგენენ იახტის ეკიპაჟს, გადაუფარეს გასეცუროს თითქმის 5.000 კილომეტრი, რათა ადგილზე გამოაცხადოს პროტესტი მომაკვდინებელი იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს.

წინა დღით სან-ფრანცისკოს საოლქო მოსამართლემ იუსტიციის მინისტრის რობერტ კენედის პირადი მითითების საფუძველზე გასცა განკარგულება არ გაუშვან იახტი ნავსადგურიდან. ეკიპაჟის წინააღმდეგ აღძრულია სასამართლო საქმე. მაგრამ „ევრიმენის“ შტურმანმა სტოლნიგმა განაცხადა, რომ მათ უფრო აუზებთ ატომური იარაღის გამოცდის შედეგები, ვიდრე ფედერალური სასამართლოს განკარგულების დარღვევის შედეგები.

△ **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ**, 27 მაისი. (საკდესი). გუშინ დღისით სანაპირო დაცვის კატარღა გაშლილ ზღვაში დაეწია და სან-ფრანცისკოს ნავსადგურში დაიბრუნა გემი „ევრიმენე“, რომლითაც სამი ამერიკელი პაციფისტი წავიდა შობის კუნძულის რაიონში, რათა პროტესტი განეცხადებინათ ამის წინააღმდეგ, რომ ამერიკელები ატომური იარაღის გამოცდას განაგრძობენ ატმოსფეროში.

ᲞᲘᲠᲘᲜᲘᲡᲚᲘᲐᲜᲘ დიქტატორი სალაზარი საპყრობილეებში ამწყვდევს ლისაბონის უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც კვლავ იბრძვიან თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: სალაზარის სატრაპებს პოლიციის უბანში მიჰყავთ სტუდენტთა დემონსტრაციის მონაწილე.

ᲕᲘᲮᲡᲜᲐᲗ ᲒᲘᲖᲔᲜᲒᲐᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მაუდ-კომოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კლუბში, ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. შეკრებილნი გულისწყრომითა და აღშფოთებით ლაპარაკობდნენ რეაქციის თვითნებობის, კოლონიზატორთა ხრიკების შესახებ, რომლებიც ისწრაფვიან კვლავ დაადონ კონგოელ ხალხს მონობის ბორკილები.

ტრიბუნაზეა კადრების განყოფილების უფროსი ვ. ჯორბენაძე.

— როცა ანტუან გიზენგა საპყრობილეში იტანჯება, ხოლო კონგოელი ხალხის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება, —ამბობს იგი, — არც ერთ პატიოსან კაცს არ შეუძლია გულგრილად იყოს.

საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. თოდრიამ მოაგონა დამსწრეთ პატრის ლუმუმბას ტრაგიკული სიკვდილის ამბავი.

ამაღელვებლად და მხურვალედ გაისმა მკსოველის ლ. ჭაჭიას სიტყვა.

შეკრებილებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ კონგოელი ხალხის ბელადის პატრის ლუმუმბას სახელოვანი თანამებრძოლი ანტუან გიზენგა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები, მოსამსახურეები, ინჟინრები და ტექნიკოსები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, გულისწყრომით აცხადებენ პროტესტს ანტუან გიზენგას დევნის წინააღმდეგ.

მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მეზნებარე მებრძოლის დაცვას, გამოვიდა ფაბრიკის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ჭიკინაძე.

— იმპერიალისტთა მუფანსთურ ხრიკებს, — ამბობს იგი, — რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ კონგოს სიმდიდრეს, მოჰყვა ის, რომ კონგოელი ხალხის ერთგული შვილი, დაუცხრომელი მებრძოლი გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ჩასვეს ჯურღმულში.

— კონგოს სახელოვანი შვილის ანტუან გიზენგას სიცოცხლეს, — ამბობს წარჩინებული მკსოველი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამარ ლაღაძე, — საფრთხე ემუქრება.

— ვიხსნათ ანტუან გიზენგას სიცოცხლე! აღმოიფხვრას უკანონობა, რასაც კონგოელი ხალხის მამაცი შვილის მიმართ სჩადიან, — განაცხადეს თავიანთ გამოსვლებში მოსამზადებელი საამკოს ცალის ოსტატმა ნ. კალოევამ, მკსოლვამა რ. შერმაძინოვამ და სხვებმა, (საქდესი).

ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲯᲔᲠᲔᲑᲐ

ᲮᲐᲜᲓᲝᲙᲚᲔᲡᲘ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი გრიგოლ ნიკიფორესძე ზამბახიძე.

გ. ნ. ზამბახიძე დაიბადა 1911 წელს ქ. ფოთში, იქვე მიიღო საშუალო განათლება და 1927 წელს თექვსმეტი წლის ასაკში მუშაობა დაიწყო კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამმართველოს საძიებელი პარტიის რიგით მუშად.

გ. ნ. ზამბახიძემ 1932 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1932-1936 წ. წ. ამხ. გ. ნ. ზამბახიძე მუშობდა „კოლხიდშენში“, სადაც თავი გამოიჩინა როგორც საპროექტო-საძიებო და სამშენებლო დარგის ნიჭიერმა ინჟინერ-სპეციალისტმა და კარგმა ორგანიზატორმა. ამხ. გ. ნ. ზამბახიძე აგრეთვე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმში. 1936-1941 წ. წ. იგი მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე სპეციალობის მიხედვით საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოსა და „საქსახპროექტში“.

1929 წლიდან გ. ნ. ზამბახიძე ენინელი კომკავშირის წევრი იყო, ხოლო 1940 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

1941 წელს ამხ. გ. ნ. ზამბახიძე დაწინაურებულ იქნა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრად. სამი წლის განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვან უბანს. 1944 წლის დეკემბერში გ. ნ. ზამბახიძე გადაყვანილ იქნა პარტიულ სამუშაოზე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად. 1951 წელს იგი გადაყვანილ იქნა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივნად და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად. 1946-1948 წლებში იგი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს კპ ცკ-თან არსებულ პარტიულ სკოლაში.

1948 წელს გ. ნ. ზამბახიძეს ირჩევენ საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივნად და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად. 1951 წელს იგი გადაყვანილ იქნა ამიერკავკასიის ფეხბურთისა და სამოქალაქო საბჭოთა მშენებლობის მინისტრად, ხოლო 1953 წელს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან. 1953 წლიდან 1958 წლამდე გ. ნ. ზამბახიძე [illegible] ბაზე — [illegible] ურნეობისა და სამოქალაქო საბინაო მშენებლობის მინისტრად, [illegible] მინისტრად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან და სხვ.

1958 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. ნ. ზამბახიძე მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

სხვადასხვა დროს გ. ნ. ზამბახიძე არჩეული იყო სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად. სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორი დენებით და რამდენიმე მედლით.

გ. ნ. ზამბახიძე იყო უაღრესად შრომისმოყვარე და ენერგიული, საქმის ღრმა მცოდნე და კეთილსინდისიერი მუშაკი, გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანი. იგი დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში, პარტიულ და საბჭოთა აქტივს შორის. მთელი თავისი სიცოცხლე მან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უანგარო სამსახურს მოახმარა.

სპეტაკი ადამიანის, გამოცდილი პარტიული და საბჭოთა მუშაკის, ნიჭიერი ინჟინრისა და შესანიშნავი ორგანიზატორის გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა გ. ნ. ზამბახიძის დაკრძალვის მომწყობი კომისია ამხ. ამხ. **გ. შ. მიქელაძის** (თავმჯდომარე), **ა. ვ. ჭირაქაძის**, **ბ. ე. ლრმოძის** და **დ. გ. მამაცაშვილის** შემადგენლობით.

გ. ნ. ზამბახიძის დაკრძალვის მოწყობის ხარჯები გაღებულია სახელმწიფოს მიერ.

Г. Н. ЗАМБАХИДЗЕ

Г. Н. ЗАМБАХИДЗЕ-ᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

გ. ნ. ზამბახიძის დაკრძალვის მომწყობი კომისია იუწყება, რომ სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 28, 29 და 30 მაისს საღამოს 8 საათზე — ბინაზე, მლეთის ქუჩა № 4; გამოსვენება 1962 წლის 31 მაისს საღამოს 5 საათზე ტექნიკის სახლიდან, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 35. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐᲜᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 27 მაისი. (საკდესი). ოასელების დანაშაულთა სია შეივსო ახალი ბოროტმოქმედებით. გუშინ მათ ალჟირის ტერატორიაზე დახოცეს 35 კაცი და დაჭრეს 31.

ქალაქ ალჟირში ფაშისტებმა ჩაიდინეს 26 ტერორისტული აქტი, დახოცეს 22 და დაჭრეს 30 კაცი. ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა ალჟირელებია.

გუშინ მთელ ალჟირში ფეთქდებოდა ოას-ელების მიერ ჩადებული ბომბები. მარტო ქალაქ ალჟირში აღნიშნულია 44 აფეთქება. ტერორისტები ისწრაფვოდნენ ძირითადად დაენგრიათ სასკოლო შენობები, რომლებშიც იწარმოებს ხმის მიცემა 1 ივლისის რეფერენდუმის დროს ალჟირის თვითგამორკვევის საკითხზე. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ქალაქ ალჟირში „ჯოჯოხეთის მანქანების“ აფეთქებისა და დაწყებული ხანძრების შედეგად დანგრეულია 18 სასკოლო შენობა.

ᲢᲣᲜᲘᲡᲘ, 27 მაისი. (საკდესი), ახლა, როცა თვითგამორკვევის საკითხზე რეფერენდუმამდე თვეზე ცოტა მეტი ხანი რჩება, უშიშროების პრობლემა ორ დიდ ქალაქში— ალჟირსა და ორანში, აღნიშნავს ალჟერი პრეს სერვისის სააგენტო, წინანდებურადვე შეშფოთებას იწვევს. მართალია, ამ უკანასკნელ ხანს განხორციელდა ღონისძიებანი ფაშისტურ ორგანიზაციასთან საბრძოლველად, მაგრამ ოას-ი, განაგრძობს რა თავის საზიზღარ ხელყოფას ალჟირის ქალების, ბავშვებისა და უიარაღო მშრომელების მიმართ, ემზადება ხელი შეუშალოს როგორც ალჟირში, ისე ორანში რეფერენდუმის ნორმალურ მოწყობას.

ალჟირში შექმნილია სამი სამხედრო ნაწილი ნეიტრიგის დასაცავად და კიდევ სხვა სამი ნაწილი ორანში. ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ებრძოლონ კარგად შეიარაღებულ მტერს, რომელსაც ბევრი თანამზრახველი ჰყავს და რომელიც სარგებლობს საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალების ლმობიერებით, ხაზს უსვამს სააგენტო. მდგომარეობის ნორმალიზაცია მთელ ალჟირში, ალჟირელი ხალხის სიმშვიდე და დისციპლინირება და სიდინჯე, მიუხედავად ოას-ის ყოველდღიური მრავალი პროვოკაციისა, შესაძლებელს ხდის, რომ ქალაქ ალჟირსა და ორანში გაგზავნოს სოფლებში შექმნილი ადგილობრივი ჯარის ნაწილები. ეს ნაწილები, რომელთა შექმნა მეტად ძნელი საქმე იყო და რისთვისაც არა ერთგზის გაუწევიათ საბოტაჟი, არაფერს არ აკეთებენ. ალჟირელებს, რომელთაგანაც ეს ნაწილები შედგება. უკვირთ ეს იძულებითი უსაქმობა: მათი ძმები იღუპებიან მკვლელების ტყვიით, ხოლო ისინი ვერაფერს შველიან.

ამასთან დაკავშირებით აღნიშნულ ნაწილებში, ნათქვამია შემდეგ ალჟირის პრესის სააგენტოს ცნობაში, უკმაყოფილება წარმოიშვა. წესრიგის დაცვის ძალების ალჟირელი ჯარისკაცები და ოფიცრები მოითხოვენ ნება მოგვეცით მივიღოთ მონაწილეობა ქალაქ ალჟირსა და ორანში წესრიგის დამყარებაში. ამასთანავე ამ ჯარის ნაწილების რიცხობრივი გაძლიერება სავსებით შესაძლებელია, რადგან ალჟირელ ოფიცრებსა და უნტერ-ოფიცრებს, რომლებიც ჯერ კიდევ საფრანგეთის არმიაში მსახურობენ, სურთ თავიანთი წელილი შეიტანონ ამ საქმეში. ისინი მზად არიან შევიდნენ ახალ ჯარის ნაწილებში და იმსახურონ ალჟირის ორ დიდ ქალაქში. ისინი ელოდებიან მხოლოდ თავიანთ დანიშვნას, რასაც საფრანგეთის არმიის შტაბები ყოველნაირად აჭიანურებენ.

ᲚᲐᲝᲡᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲦᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲯᲐᲜᲝᲜᲘ, 26 მაისი. (საკდესი). პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალები, მთავრობის ჯარები და მთელი ლაოსელი ხალხი დიდად არიან აღშფოთებული ამერიკის პროვოკაციით ლაოსის საზღვრებზე, განაცხადა რადიო „ლაოსის ხმის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის წარმომადგენელმა. ამერიკის ჯარების გადასხმა ტაილანდში იმისათვის განხორციელდა, რომ განამტკიცონ მეამბოხეთა შერყეული რიგები. ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ წაქეზონ მეამბოხენი ახალი პროვოკაციებისათვის ლაოსის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ და საბაბი მისცენ, რათა გაგზავნონ ლაოსში თავიანთი ჯარები.

პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის წარმომადგენელმა ამბილა, როგორც სასაცილო, ამერიკის მთავრობის ის მტკიცებანი, თითქოს ლაოსის პატრიოტული ძალები საფრთხეს უქმნიან ტაილანდის უშიშროებას. ლაოსში 3 მილიონი მცხოვრებია, განაცხადა მან. როგორ შეუძლია ლაოსს დაემუქროს ტაილანდს, რომლის მოსახლეობა 20 მილიონია. ლაოსში ამჟამად მეამბოხეთა რიგებში 1400-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მრჩეველი და სეატოს აგრესიული ბლოკის ქვეყნების დაახლოებით 10 ათასი ჯარისკაცია.

ამერიკელები იარაღს აყალარუნებენ ლაოსის საზღვრებზე, უჩვენებენ თავიანთ ძალას. მაგრამ ჩვენს ხალხს არ ეშინია ამერიკელი აგრესორებისა, თქვა დასასრულ პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის წარმომადგენელმა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამერიკელებმა და მათმა მოკავშირეებმა გაიყვანონ თავიანთი ჯარები ტაილანდიდან და ლაოსიდან და ამით ხელსაყრელი პირობები შექმნან ლაოსის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ჩვენ მივესალმებით პრინც სუფანუვონგის განცხადებას, რომელმაც მოითხოვა მოწვეულ იქნეს სამი პრინცის თათბირი სურვილის ხეობაში, რათა გადაიჭრას კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების საკითხი ციურიხსა და ხინ-ხუაში დადებულ შეთანხმებათა ბაზაზე.

ᲙᲐᲠᲞᲔᲜᲢᲔᲠᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲔᲬᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 27 მაისი. (საკდესი). **კომენტარს უკეთებს რა ამერიკელი კოსმონავტის კარპენტერის გფრენის შედეგებს, გაზეთ „სანდი ტაიმსის“ მეცნიერული მომმხილველი მარჯერისონი წერს: „კარპენტერს ბედი ეწია, რომ მშვიდობით დაბრუნდა მას შემდეგ, რაც სამჯერ შემოუარა დედამიწას 24 მაისის კოსმოსური გფრენის დროს.**

**იმის იმედი, რომ შემდგომი კოსმოსური გფრენის დროს „მერკურის“ სერიაში, რაც დასახულია აგვისტოს დამლევისა ან სექტემბრის დამდეგისათვის, კოსმონავტი შვიდჯერ შემოუვლის დედამიწას, არა გვგონია გამართლდეს, რამდენადაც კარპენტერის კოსმოსური ხომალდი „აურორა-7“, ისევე როგორც გლენის კოსმოსური ხომალდი „ფრენდშიპ-7“ ზოგიერთ მხრივ არ აღმოჩნდა საიმედო. როგორც ჩანს, ჯერ განხორციელდება თუნდაც ერთი გაფრენა დედამიწის გარშემო სამჯერ შემოვლით „მერკურის“ კაპსულით

„საქართველო“ —მოსკოვში

მოსკოვი, 26 მაისი. (საქდესის კორ.). საქართველოს მოზარდ მაყურებელთა თეატრის კოლექტივი, რომელიც მოსკოვში იმყოფება, შეხვდა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „საქართველოს“.

ეს ანსამბლი ხუთი წლის წინათ შეიქმნა დედაქალაქის 755-ე საშუალო სკოლაში. შეხვედრას დაესწრო მოსკოვის ძერჟინსკის რაიონის ასობით პიონერი. მზიური საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს მხურვალედ მიესალმნენ ამ სკოლის კომკავშირელები, პიონერები. მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ იქმნებოდა ანსამბლი, ილაპარაკეს მის შემოქმედებითს წარმატებებზე.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა გაერთიანებული კონცერტი. მოზარდ მაყურებელთა თეატრის კოლექტივის წევრებმა სულითა და გულით მიუღოცეს ნორჩ მოსკოველ მსახიობებს და მადლობა გადაუხადეს განცდილი სიამოვნებისათვის, აღნიშნეს, რომ მათ შეძლეს შთაგონებით გადმოეცათ ქართული ხალხური ცეკვების ეროვნული თავისებურება.

ყვავილების დღესასწაული

უჩვეულოდ გაიღვიძა კვირადღეს თბილისმა. პარკები, მოედნები, სკვერები, ქუჩები, საწარმო-დაწესებულებათა ფასადები, ეზოები და აივნები, ფანჯრის რაფებიც კი ვარდ-ყვავილებით არის მოკაზმული.

შესანიშნავი სანახაობაა... თბილისის ორჯონიკიძის ბახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. სილამაზის — „ყვავილების დღესასწაულზე“ მოვიდნენ მშრომელები ბავშვებით. ამდენ ვარდ-ყვავილებს და ბავშვებს ერთად იშვიათად ნახავთ. პარკს ამშვენებდნენ ბავშვებიც და ყვავილებიც.

ყვავილების დღესასწაული ახლა მეოთხედ ეწყობა ჩვენს დედაქალაქში და უკვე ჰპოვა საერთო აღიარება და მოწონება.

საქართველოში გაზაფხულზე ძველადაც ეწყობოდა ეს დღესასწაული.

ამ პარკში ადამიანის ხელს ხელოვნური დიდი გორაკი შეუქმნია, იგი ნაკვეთებად დაუყვიათ და ახლა ქალაქის გამწვანების ტრესტის რაიონულ კანტორებს მოუწყვიათ თავიანთი ვარდ-ყვავილების გამოფენა. ყველას საკუთარი გემოვნებით უმუშავნია, ამიტომ ერთფეროვნება თითქმის არ არის, თვალს გტაცებთ ულამაზესი ფორმის, ფერის და შესანიშნავი სურნელების ვარდები.

აი ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის გამწვანების კანტორის ტერიტორია, რომელსაც თავს დასტრიალებს დაუღლელი მებაღე-დეკორატორი ალისა ფხაკაძე. აქ თავს გაწონთნებთ ჩაის ვარდი, ვარდებს შორის ყველაზე უტურფესი და პოპულარული, ღია ფერის „მადამ ბატერფლაი“, სხვადასხვა ფერის ყვავილები და ვარდები.

ამ ნაკვეთზე ნახავთ აგრეთვე კიროვის პარკის ორანეერიაში გაზრდილ გეორგინებს, პეტუნიებს, მიხაკებს, ხმალას, წითელ ყაყაჩოს, დეკორაციულ ბუჩქებს, პალმას და სხვ. გხიბლავთ მეყვავილე დეკორატორების გ. ხიზანიშვილის, შ. თაყაიშვილის, მ. კახიძის გაფორმებული დეკორაციული კალათები, ორჯონიკიძელებს მარტო იქ არ შეუქმნიათ ეს სილამაზე. კიროვის პარკში დიდ ფართობზე აქვთ ნაკვეთი გაფორმებული, რომლითაც დამთვალიერებლები კმაყოფილნი რჩებიან.

ვერაფერს დავუწუნებთ კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის გამწვანების კანტორის თანამშრომლებს. კანტორის უფროსის ს. კვახაძის ხელმძღვანელობით სადა სტილის შესანიშნავი გამოფენაა მოწყობილი ორჯონიკიძის სახელობის პარკსა და კომუნარების ბაღში. აქ გიზიდავთ ოქროსფერი ყინოვარდა, გლოქსინიები, იორდასალამი, ბეგონია, იასფერი პეტუნიები, წითელი ამარალისები.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ყველა რაიონს საუცხოოდ გაუფორმებია თავისი ნაკვეთი. აი 26 კომისრის რაიონი გამოფენა. მიხვალთ იქ, და წამოსვლა აღარ გინდათ. ლენინის, კიროვის, ოქტომბრის, პირველი მაისის რაიონების ტერიტორია — ყველგან გიღიმიან და გიზიდავენ თეთრი ვარდები — ბავშვური სიწმინდისა და სილამაზის სინონიმი, იები — მოკრძალების, მომხიბვლელობის, მიმზიდველობის სიმბოლო, მწვავე და მხურვალე გრძნობის გამომხატველი მიხაკი, მორცხვი მიმოზა, ნაზი შროშანა, გვირილა, გუგულის კაბა... ეცნობით ჩვენი ქვეყნის ლამაზ ფლორასა და ცხელი ქვეყნების წარმომადგენლებს. ამ რაიონების გამწვანების კანტორებმა საუკეთესოდ მოაწყეს აგრეთვე გამოფენები თავიანთ ტერიტორიებზე ლენინის რაიონში რკინიგზის გადასასვლელ ხიდთან პარკში, მარჯანიშვილის და შაუმიანის მოედნებზე, ლესელიძის ქუჩაზე და სხვ. ყველგან საუცხოოდ აქვთ წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის ბუნება, ანკარა წყაროები, მთის ბილიკები, ლამაზი გორაკები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებანი წარმოდგენილია თბილისის ცენტრალური, სოხუმისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღებით, ბოტანიკის ინსტიტუტით. აქ ბლომად ნახავთ ველურ ფლორას, ალპურ ფერისულებს, ნაღველას, ფხიჯას, მაჩიტას, დეკას, კენანეს, შროშანას, ოთახის მცენარეებისა და ვარდის კოლექციებს, კაქტუსების ჯგუფს, ჰერბერებს, სუკულენტებს, კალას, ხმალას, ფუტკარას, ბეგონიებს მერქნიან მცენარეებს, იაპონურ ნეკერჩხალს, ეხევერიებს, საგოს პალმას...

ძალიან მოსწონია ბორცვები და ჭიუხები, ალპური მინდვრები. ნაკადული წყლის მცენარეებთან, ვარდები, რომლებიც ორიგინალურად და მომხიბვლელად გაუფორმებიათ დიღმის სანერგის მუშაკებს. ექსპონატები გამოუგზავნიათ აგრეთვე სოხუმელ მშრომელებს. აქ ყურადღებას იქცევს ჭოჭოხის, ფინიკის პალმები.

ბევრი სტუმარი ჰყავდა ჩვენი ამაგდარი, უბადლო მეყვავილის მცხეთელი მ. მამულაშვილის ექსპონატებს. მისი ნაკვეთი პატარა, მაგრამ ძალზე საინტერესოა. მას ხელით დაწნულ ფაქიზ კალათებში ასევე ფაქიზი, საოცარი ფერების ყვავილები ჩაურგავს, სწორედ ეს ფერები გხიბლავთ და მადლიერების გრძნობით თავს ხრით მისი ნიჭისა და უნარის წინაშე. საუურადღებო ექსპონატები აქვთ წარმოდგენილი აგრეთვე თბილისელ მეყვავილეებს: თ. ხარაძეს, ი. ჩორგოლაშვილს, ე. ცომაიას, სტუდენტ ვ. ჩხიკვაძეს, ი. აღლაძეს, შ. ბახტაძეს, ვ. ოგანოვს, ი. კელმიანცევას, ე. ტურაბოვს.

ქალაქში მრავალ ადგილას, ქუჩებში და მოედნებზე სპეციალურად მოწყობილ ჯიხურებში გვიან საღამომდე იყიდებოდა ვარდები და ყვავილები, ქოთნებით ნერგები, ჩითილები, მოსაჭრელი ვარდები, თესლი. ეს ვაჭრობა მოაწყო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს ყვავილვაჭრობის კანტორამ. ქალაქში ბავშვები დასეირნობდნენ ლამაზად მორთული ეტლებით, აგრეთვე ურმით.



— საქართველოში ვარდი და ყვავილები შორეული წარსულიდან არის ცნობილი, — გვეუბნება თბილისის გამწვანების მეურნეობის ტრესტის მმართველი ნ. ქიცა — ისინი ვაზთან ერთად ქართული კარმიდამოს მშვენებას წარმოადგენდნენ.

დეკორაციული მცენარეები ადამიანის გამჯანსაღებელი საშუალებაა, სიხუფთავისა და სიგრილის წყაროა. ჩვენი მიზანია ახლაც ხელი შევუწყოთ ბაღ-წალკოტების გაშენებას, შევაყვაროთ ეს საქმე მშრომელებს. ჩვენში ხომ საუკეთესო პირობებია უძვირფასეს მცენარეთა გამოსაყვანად. მასობრივად გავაშენოთ ვარდი — ყვავილთა დედოფალი. გავაუმჯობესოთ მცენარეების მოვლა. ეს სამუშაო მხოლოდ ერთი დღითა და ერთი კვირით არ უნდა შემოიფარგლოს.

გვიან ღამემდე ზეიმობდა ვარდ-ყვავილების სამოსელში გახვეული ქალაქი. ყველგან საამო, დამატებობელი სურნელება სუფევდა. ეს იყო უბრო სილამაზე და მშრომელთა დაუვიწყარი დღესასწაული.

გამოფენა ერთ კვირას გასტანს.

ე. მამალაძე.

* * *

სურათებზე: (ზემოთ მარცხნივ) ყვავილებით ვაჭრობა რუსთაველის პროსპექტზე; (ზემოთ მარჯვნივ) ყვავილების გამოფენას ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. ეწევიენენ პატარა სტუმრები; (ქვემოთ) ეტლით გასეირნება ყვავილების დღესასწაულზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ძნელი გზის ნახევარი

კიურასაოს საჭადრაკო ტურნირი

ვურნირში პირველ ადგილს ის დაიკავებს, ვინც შეძლებს თვითონ, სხვის დაუხმარებლად მიაღწიოს უკანასკნელ ტურში თამაშის ადგილს, — იოხუნჯა ერთხელ გროსმაისტერმა მიგუელ ნაიდორფმა პრეტენდენტთა ტურნირის შესახებ, და ეს იოხუნჯობა ნაწილობრივ სიმართლეს შეიცავს. აბა იფიქრეთ! ოცდაოთხ ტური, თითქმის ორ თვეს თამაში! რამდენ ძალას მოითხოვს ეს მონაწილეთაგან, რამდენ ნერვებს, გაძლეობას, სიმტკიცეს. ტყუილად კი არ ეწყობა შესვენება შეჯიბრების პირველ და მეორე ნახევარს შორის. და აი ახლა კიურასაოში რამდენმე დღით ადრე ალეგეს ჭადრაკის ფიგურები, და რჩეული რვა გროსმაისტერი 1 ივნისამდე ისვენებს მეზობელ პატარა კუნძულ სან-მარტინზე.

ამრიგად, კარიბის ზღვის შორეულ პატარა კუნძულზე გათამაშდა თოთხმეტი ტური — დისტანციის ზუსტად ნახევარი. რა მოხდა შეჯიბრების სტარტზე? რვიდან რომელმა გააკეთა უკეთესი განცხადება გამარჯვებაზე, ვის გაუღიმა ჭადრაკის ფორტუნამ? ვის მოეპოვება ახლა ყველაზე მეტი საფუძველი, რათა იმედი იქონიოს, რომ მომავალ წელს შეხვდება მსოფლიოს ჩემპიონს მიხეილ ბოტვინიკს?

კიურასაოში პირველი დღიდანვე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. მან ბევრი მოულოდნელობა მოგვიტანა. და მთავარი მოულოდნელობა იყო სტარტზე მიხეილ ტალისა და რობერტ ფიშერის მარცხი.

და ორივე ამ გამორჩენილმა გროსმაისტერმა პირველ ტურშივე წააგო. ტალმა — პეტროსიანთან, ფიშერმა — ბენკოსთან. პირველი მარცხი ყოველთვის არასასიამოვნოა, კალაპოტიდან ამოაგდებს ხოლმე კაცს. ფიშერმა, მართალია, მოახერხა რამდენადმე გამოესწორებინა მდგომარეობა, მაგრამ ტალს ახლა უკანასკნელისწინა ადგილი უჭირავს სატურნირო ცხრილში.

— რა დაემართა ტალს? ავად არის, უჩვეულო ჰავას ვერ შეეგუა? რამდენ ასეთ კითხვას იძლევიან ახლა რიგელი გროსმაისტერის გულშემატკივრები. სტარტზე მარცხის გარდა ექს-ჩემპიონის წარუმატებლობაში მთავარ როლს ასრულებს ავადმყოფობა. საკმარისია დახედოთ ტალის პარტიებს. ერთში იგი აშკარად ავანტიურულ იერიშს იწყებს, მეორეში პირდაპირ უსვამს ფიგურას მოწინააღმდეგეს. ტალმა სწორედ ტურნირის წინ ძნელი ოპერაცია გადაიტანა; კიურასაოდან მიღებული ცნობებით, იგი იქანცება თამაშის მეხუთე საათისათვის და „ვერაფერს ვეღარ ხედავს“. უკვე მიმართეს საექიმო დახმარებას, თუმცა თვითონ ტალი ამტკიცებს, „სრულ წესრიგში“ ვარო. სხვას არც მოველოდთ ტალისაგან! მას არაფრით არა სურს გამართლოს თავისი წარუმატებლობა.

რა თქმა უნდა, საწყენია, რომ ისეთი ნიჭიერი მოჭადრაკე, როგორიც არის ტალი, მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლას უნდა გამოსწყდეს. მაგრამ არა უშავს რა, მის მომბრძოლებს შეუძლიათ გული დაიმშვიდონ! ტალს კიდევ აქვს დრო. სამი წლის შემდეგაც კი, პრეტენდენტთა მომდევნო ტურნირის დროს იგი სულ 29 წლისა იქნება. ხოლო ცნობილია, რომ მოჭადრაკე მთლიანად „მომწიფებული“ ხდება 30-35 წლისათვის.

ცხრაწელი წლის რობერტ ფიშერი წაგებას „გადაეჩვია“. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე უაღრესად სერიოზულ ტურნირებში მას არც ერთი პარტია არ წაუგია. ამან თავდაჯერებულობა შეუქმნა თვითონ ფიშერსაც და მის ოჯახისგარეშე თაყვანისმცემლებსაც. კიურასაოს წინ ყოველად მყვირალა რეკლამა გააჩაღეს. ამ რეკლამის მიხედვით გამოდიოდა, პრეტენდენტთა ტურნირზე ბრძოლა არც კი იქნება, ფიშერი მხოლოდ იმისთვის ჩავა, რომ ბოტვინიკთან მატჩის თავისი უფლებები გააფორმოსო. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ფიშერის როლი ამ რეკლამაში მაინც მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე მისი უბედი თანამემამული, ჟურნალისტებისა.

და აი სტარტზე ფიშერმა უეცრად წააგო ორი პარტია ბენკოსთან და გელერთან. საკირო გახდა უეცებად ფრთხილი თამაში „ტექნიკაზე დაყრდნობით“, რაც ახასიათებდა ამერიკელის პარტიებს სტოკჰოლმში. ფიშერმა შეელო ძალით დაიწყო თამაში, მერე ტურისათვის რამდენიმე გამარჯვებამ შესაძლებლობა მისცა ენერგიულ ამერიკელს ქულების ორმოცდაათი პროცენტი მოეგროვებინა. ეს უფრესელი წარმატება იყო ცუდი სტარტის შემდეგ, და ამან კვლავ თავბრე დაახვია ჭაბუკ ბობის.

— მე მათ ეიზეკენებ! ყველას დავამარცხებ! — დაიწყო ფიშერმა მუქარა ყველას გასაგონად და... იქვე წააგო მეორე პარტია გელერთან. ახლა ფიშერს ორივ ქულების ორმოცდაათიოდე პროცენტი აქვს. პირველი ადგილისათვის ბრძოლაში მას შანსები, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ კონკურენტებმა უკვე დიდი დისტანციით გაუსწრეს.

მეჯიბრების პირველი ნახევრის შემდეგ ტურნირს სათავეში უდგას ორი მეგობარი ეფიმ გელერი და ტიგრან პეტროსიანი. ორივემ სასტარტო ნახევარი გასაოცრად ერთმანეთის მსგავსად ჩაატარა. არც ერთს არა აქვს დამარცხება, ორივემ მოიპოვა ოთხ-ოთხი გამარჯვება. გელერმა „გამოიცნო“ ფიშერი და ორივე პარტია მოუგო ამერიკელს, ასეთივე შედეგი აქვს პეტროსიანს ტალს წინააღმდეგ.

ეფიმ გელერი კიურასაოში იშვიათი სიმტკიცით იბრძვის. ნიჭიერი ოდესელი ჩვეულებრივად დუნედ იწყებს, თამაშს გამოასწორებს ხოლმე და შუა დისტანციაზე პირდაპირ ანადგურებს მოწინააღმდეგეებს.

მაგრამ გელერს სერიოზული ნაკლიც აქვს — იგი მარცხს განიცდის ხოლმე ფინიშზე. როცა გამარჯვება თითქოს უკვე ახლოა, გელერი უეცრად მარცხდება. მერე რა საწყენად, სრულიად უბრძოლველად. ასეთი ჩავარდნები ხშირი მოგვლია ოდესელის პრაქტიკაში.

კიურასაოში გელერმა მოახერხა თავიდან აეცილებინა ნულები სტარტზე. იქნებ ახლა ფინიშიც შეცვალოს.

— ტიგრან პეტროსიანი უფრო გაბედულად რომ თამაშობდეს, — თქვა ერთხელ ფიშერმა თავის კოლეგაზე, — იგი ძალიან საშიში იქნებოდა.

მართლაც კავკასიის ნიჭიერი წარმომადგენლის თამაშში ხშირად მეტისმეტად ბევრია პრაქტიკული ანგარიში, გადაჭარბებული სიფრთხილე. ტიგრანს ჩინებული საჭადრაკო ტექნიკა აქვს და სწორად წარმართავს თამაშს ამ ტექნიკაზე დაყრდნობით. მაგრამ იმ მომენტში, როცა საჭიროა შემოქმედებითი აღმაფრენა, გამბედაობა, ენერგია, პეტროსიანი უეცრად ხელს იღებს ბრძოლაზე, ამჯობინებს მშვიდობიან შედეგს, ოღონდ ინიციატორ ის არ გასწიონ. ამის შედეგად მის პრაქტიკაში ჩავარდნები არ არის, მაგრამ გამარჯვებათა სიაშიც ცოტაა შესანიშნავი გამარჯვება.

პეტროსიანმა უკვე სამჯერ ითამაშა პრეტენდენტთა ტურნირში და მისი შედეგი ყოველთვის მაღალი იყო. მაგრამ ფაქტიურად არც ერთხელ მონაწილეობა არ მიუღია პირველი ადგილისათვის ბრძოლაში, ხოლო ჭადრაკის გეგრგვინს „ხელების დაუკაწრავად“ ვერ მოიპოვებ. იქნებ პეტროსიანმა შეიგნო ეს ჭეშმარიტება და გადაწყვეტა კიურასაოში ნამდვილი ბრძოლა გამართოს.

გელერისა და პეტროსიანის ჩინებული გამოსვლის ფონზე რამდენადმე დაიჩრდილა სხვა საბჭოთა გროსმაისტერების თამაში. კორჩნოის ბევრი მომზრე ჰყავს. მარჯვე ტაქტიკოსის გაბედული, შეტევითი თამაში უდამ იწვევს ჭადრაკის მოყვარულთა აღტაცებას. კორჩნოის უკვე ბევრჯერ მოუპოვებია პირველი ადგილი უაღრესად პასუხსაგებ შეჯიბრებებში. იგი განსაკუთრებით ეხერგიულად თამაშობს ფინიშზე, და ეს საშიშს ხდის მას კონკურენტებისთვის.

ლენინგრადელი გროსმაისტერი ჩვეულებრივად დიდ როლს ანდომებს პარტიის პირველ სვლებს და ხშირად ექცევა ეიტნერტი. კიურასაოს წინ ლენინგრადელმა სპეციალური ლონისძიებები მიიღო. კერძოდ, თავი დაანება თამბაქოს წევას. როგორც კიურასაოდან გადმოგვცემენ, მის პარტიებში ახლა ნაკლებია ცალტნტრტები — უფრო ფხიზლად თამაშობს, მაგრამ მაინც ზოგჯერ მოსდის შეცდომები. მაგალითად, მეორე პარტიაში კორჩნოიმ ფიშერს მთელი კუ დაუსვა!

ახლა ბევრს დავობენ პაული კერესის შანსებზე. ტურნირის უხუცესი მონაწილე ცუდად როდი თამაშობდა სტარტზე. მაგრამ გაუძლესს თუ არა მთელ ძნელ დისტანციას? მაღე ხომ იგი ორმოცდაექვსი წლისა გახდება, ეს კი მოჭადრაკისთვისაც ბევრია! კერესის მომხრენი მშვიდად არიან: საქმე წლები როდია, ამა კერეს-ჩოგბურთელს ფიგურას შეხვდეთო! პაული ჩინებული სპორტსმენია და ეს ეხმარება მას გაუძლოს უძნელეს შეჯიბრებებს.

ჭადრაკის სამყარო აღტაცებით მიესალმება კერესს გამარჯვებას კიურასაოში. ჯერ კიდევ 1938 წელს, ამსტერდამის ტურნირზე პირველი პრიზი რომ მოიპოვა, კერესმა მიიღო ფორმალური უფლება მატჩში გამოეწვია მსოფლიოს ჩემპიონი. მაგრამ მაშინ კერესი არ ჩქარობდა: დრო კიდევ აროსო. და აი უკვე მეოთხედი საუკუნეა „მიიწევს“ ნიჭიერი ესტონელი საჭადრაკო ტახტისაკენ და ყოველთვის ჩაეფუშება ხოლმე საქმეზედ „ცვარცხლეკვანთან“. რამდენჯერმე იყო კერესი მეორე ადგილზე პრეტენდენტთა ტურნირებში, მაგრამ მეორე ხომ მხოლოდ მეორეა. ნუთუ არც ერთხელ არ ეღირსება პირველობა?!

მე მგონია, რომ კიურასაოში მონაწილეთა რიცხვი თამამად შეიძლებოდა ექვსით განსაზღვრულიყო. ჯერ კიდევ ტურნირამდე ფიქრობდნენ, რომ ვერც მიროსლავ ფილიპი და ვერც პალ ბენკო პრაქტიკულად ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას პირველი ადგილისათვის ბრძოლაში. და მართლაც, კიურასაოში ისინი ძალის მხრივ ჩამოუვარდებიან თავიანთ სახელგანთქმულ კოლეგებს. მართალია, ბენკომ საკმაოდ გაუფუჭა შანსები ფიშერსა და ტალს, მართალია, ფილიპმა რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საჭადრაკო გვირგვინის შესაძლო მფლობელთა წარმატება როდია.

ვირტუოზებთა ტურნირის პარტიები ყოველთვის საინტერესო ყოფილა. საჭადრაკო ტახტის კვარცხლბეკთან თავს ვერ შეიკავებ, რომ მწვავე ბრძოლა არ გააჩაღო. ყველას რომ გაუსწორო, უნდა ცდილობდე მოუგო მათ მატჩ ოთხი პარტიიდან. ასეთია პრეტენდენტთა ტურნირებში წარმატების „მარტივი“ წესი. სწორედ ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ გააფთრებულ ბრძოლას ფინიშზე. მხოლოდ გაბედული მიიღებს დაფნის გვირგვინს! მხოლოდ გონებამახვილი მოთამაშე უყვარს ჭადრაკს და მხოლოდ მაძიებელს უხსნის იგი თავის საიდუმლოებას. საჭადრაკო „ომი“ უაღრესად მაღალ დონეზე მიმდინარეობს. აქ საჭიროა აჩვენო ნამდვილი შემოქმედება, შინაარსიანი და იდეებით მდიდარი. დ. მსოფლიო დაუკრავს ტაში ამ შესანიშნავ შეჯიბრებაში გამარჯვებულს!

ა. კოტოვი,
გროსმაისტერი.

მოსკოვი, 26 მაისი.

ბაირონ ჯანისის კონცერტზე

ჩვენი სტუმრები

თბილისელ მსმენელს აქვს ერთგვარი შინაგანი შეგრძნება, მიხვედრა ყოველივე არაჩვეულებრივი მოვლენისა და ზანსწარი ბანოყობა მისადმი.

რიგითი ოფიშა „ამერიკული პიანისტი ბაირონ ჯანისი“ არ გვაუწყებდა არც გაწსაკუთრებულ საპატიო წოდებებს და არც მაღალ ჯილდოებს. ცნობებიც მის შესახებ მეტად ძუნწია: 34 წლისაა, ცხოვრობს ნიუ-იორკში, ფართო საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენი ფილარმონიის საზაოხლო თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. კონცერტზე მოხვედრა არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა.

არიან შემსრულებლები (ბუნებრივია, აქ ლაპარაკია დიდ მუსიკოსებზე), რომლებიც თავიდანვე აცვიფრებენ მსმენელს დაკვრის ყველანაირი გამომსახველი ხერხებით. ზოგში კი თითქოს იმალება პატარა ნაწილაკი გამოუთქმელისა, გამოუმეღვანებელისა, და სწორედ ამიტომ მათი დაკვრა ესოდენ ახლებური და განუმეორებელია. ბაირონ ჯანისი ამგვარი მუსიკოსია. ყოველი ახალი ნაწარმოების შესრულების შემდეგ იგი წარმოგვიდგა სულ უფრო ღრმად და მრავალფეროვნად, ბოლოს კი მსმენელი მთლიანად მრეშიბლა. მან თავისი კონცერტი ჰაიდნის გრაციოზული, ლამაზი სონატით დაიწყო და ამერიკელი კომპოზიტორის გერშვინის უტარათანამეგზაროვე კონცერტით დაასრულა. რამდენნაირი ეპოქა, სტილი და ინდივიდუალობა ააეღერა მან ჩვენი მსმენელის წინაშე!

ჯანისის დაკვრის მანერა საოცარია — არაჩვეულებრივი სიმსუბუქე, თავისუფლება — იგი ნაწარმოებს თითქოს ახლა ქმნისო, თითქოს ბრწყინვალე იმპროვიზაციებს თხზავსო. ჯანისი დინამიკური კონტრასტების დიდი ოსტატია. მას ხან ბეგრათა წარმტაც სამყაროში, პოეზიის, სიყვარულის წარმტაც სამყაროში გადაეყვანართ (ლისტის „დავიწყებული ვალსი“, შოპენის ორი ეტიუდი, შუბერტის ექსპრომტი), ხან კი ბობოქარი სულით, მგზნებარებით, ემოციათა ფრამატულობით გვიტაცებს (ბეთჰოვენის 21-ე სონატა, შუმანის ნოველეტები). ზოგჯერ კი ხასხასა მკვეთრი ფერებით გვიხატავს ლამაზ ჟანრულ სურათებს — სცენებს. ნამდვილად სამართლიანი აღფრთოვანება გამოიწვია ორმა პატარა კოლორატურმა პიესამ — დე-ფალიას „მეწისქვილის ცეკვამ“ და ბაიონის „გარმონის დამკვრელმა“.

არანაკლებ საოცარია ჯანისის მუსიკალური მეხსიერება, მეორე სიმფონიურ კონცერტზე მას უნდა დაეკრა რახმანინოვის ორი კონცერტი. რეპეტიციაზე გამოირკვა, რომ ერთი მათგანი უნდა შეცვლილიყო. „მე შემიძლია დავუკრა ასეთი სიტყვებით დამმაცარა: „მე მოჯადოებული ვარ თქვენი ასეთი შესანიშნავი მიღებით. მე თქვენთვის მთელი ღამე დავუკრავდი, მაგრამ ხვალ კიდევ კონცერტი უნდა გავმართოთ!“.

მ. ფიჩნაძე.

* * *

სურათზე: ბაირონ ჯანისს ესაუბრება ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ელისო ვირსალაძე, რომელიც კონცერტის შემდეგ შეხვდა ამერიკელ კოლეგას.

ფოტო ა. პაპაიანისა.

ამგვები ჩილიდან

მსოფლიო ჩემპიონობის თექვსმეტეული პრეტენდენტი ჩილის მიწა-წყალზე იმყოფება. სამხრეთ ამერიკის ეს ქვეყანა დიდი საფეხბურთო პაექრობის მოლოდინშია. ჩილის აეროდრომზე ხშირად ეშვებიან თვითმფრინავები, რომლებსაც მოჰყავთ ტურისტები, ფეხბურთის გულშემატკივრები.

ბევრი ჩილელი იყრის თავს სასტუმრო „არიკის“ წინ, სადაც საბჭოთა ფეხბურთელები ცხოვრობენ. არიკაში მოეწყო პრესკონფერენცია, სადაც სსრ კავშირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. ვალუევმა ჟურნალისტებს პასუხი გასცა მათთვის საინტერესო კითხვებზე. ჩვენი ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კაჩალინმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პირველ მატჩებში. ამ ჯგუფში შედიან იანინი, მასლიონენკინი, ვორონინი, ნეტო! მეტრეველი, პონედელნიკი, გუსაროვი, მესხი.

ჩილიში შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მორიგი კონგრესი, სადაც მიიღეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მაგალითად, ის ფეხბურთელები, რომლებიც გამოდიან 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, მონაწილეობას ვერ მიიღებენ ოლიმპიურ ასპარეზობაში. ამიერიდან მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ის ფეხბურთელები, რომლებიც დატოვებენ თავიანთ კოლექტივებს, სამშობლოს და სხვა ქვეყნის გუნდში გადავლენ სათამაშოდ. ფიფამ ვიცე-პრეზიდენტად კვლავ აირჩია ვ. გრანატკინი (სსრ კავშირი).

ფინალის პირველი მატჩები შედგება 30 მაისს არიკაში, სანტ-იაგოში, ვინია-დელ-მარში და რანკაგუაში. არიკას მუნიციპალიტეტის სტადიონზე ითამაშებენ ურუგვაისა და კოლუმბიის ნაკრები კოლექტივები. სანტ-იაგოს ნაციონალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან ჩილისა და შვეიცარიის გუნდები, ვინია-დელ-მარის „საუსალიტოს“ სტადიონზე ასპარეზობა ექნებათ ბრაზილიის და მექსიკის გუნდებს. რანკაგუაში „ბრადენის“ სტადიონზე გამოვლენ არგენტინა და ბულგარეთი.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ბრძოლაში ჩაებმება 31 მაისს. ამ დღეს იგი შეხვდება უგოსლავიის ფეხბურთელებს. თამაშს სჯის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მსაჯი დუში.

გამოვიდა ჟურნალი „მნათობი“ № 5. ნომერში მოთავსებულია **ალიო მირცხულავას** — „ლენინის „პრავდა“ (ლექსი), **ლადო მრელაშვილის** — „ყაბახი“ (რომანი, გაგრძელება), **კარლო კალაძის** ლექსები, **ვალერიან ჩეკურიშვილის** — „ტრამვაი მიდის პარკში“ (მოთხრობა), **კოლაუ ნადირაძის** — „საად-ჰაფიზი“ (ლექსი), **თენგიზ გოგოლაძის** — „ნიაღვარი“ (რომანი, გაგრძელება), **რამაზ კობიძის** მოთხრობები, **შალვა ფორჩხიძის** — „ხმაურსა და სიჩუმეს შორის“ (ლექსი), **სილოვან ნარიმანიძის** — „სიცოცხლეს ხმით იშრიალეთ, ხეებო“ (ლექსი), **გიორგი ზედგინიძის** — „ნოველები, **ავეტიქ ისაკიანის** — „აბულ-ლალა-მაარი“ (თარგმანი **რევაზ თვარაძისა**), **ნიკა აგიაშვილის** — „როგორ მოიკლა თავი გოგია უიშვილმა“ (მოგონება).

განყოფილებაში **„პრავდის“ 50 წლისთავი“** დაბეჭდილია **გიორგი ნატროშვილის** წერილი „მსოფლიოს შეეტურა“. ჟურნალში არის აგრეთვე განყოფილებები **„ვეფხისტყაოსნის“ გარშემო, „კრიტიკა და პუბლიცისტიკა“, „მეცნიერება“, „წარსულიდან“, „წიგნების მიმოხილვა“** და **ახალი წიგნები“.**



ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

30 მაისი

პირველი პროგრამით

08.30 — ნაწყვეტები მოცარტის ოპერებიდან, 09.20 — ლიტერატურული გადაცემა. გამოჩენილი რუსი მხატვარი, 11.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“, 11.20 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — ასირიული სიმღერები, 12.45 — ჰაიდნი. ანდანტე და ვარიაციები, 13.40 — ა. მაჟავარიანის კამერული მუსიკა, 17.20 — რუსული ხალხური სიმღერები, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. „მოთხრობა ტუნდრაზე“, 18.05 — იენე ხუსკა. ნაწყვეტები ოპერეტიდან „ბარონესა ლილი“, 18.45 — ქართული კამერული მუსიკა, 19.15 — მოლდავური მუსიკა, 19.45 — კორესპონდენცია — „სოფელი სალხინო დღეს“, 20.20 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 20.45 — საუბარი — „ნავთობი ორგანულ სინთეზში“, 21.05 — კონცერტი-საუბარი: „ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“, 22.00 — ჰ. პაუსტოვსკის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული გადაცემა, 22.35 — ძველებური რომანსები და ვალსები.

29 მაისი

რუსთაველის სახელობის — ქუთათურები, **გრიბოედოვის სახელობის** — წესგარეშე თამაში, **სანკულტურის** — ჩვენი ერთი საოამო (აბონ. № 7), **კონსერვატორიის მცირე დარბაზი** — ნესტან მესხი (ფორტეპიანო), **სპორტის სასახლე** — ვენის ბალეტი ყინულზე — აის-რეიუ“.



რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო) — სიგნალები ქალაქის თავზე, **ამირანი** (საზაფხულო), **თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო) — ქ